„ღმერთო, საშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუდუნებ!“

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲮᲐᲚ – 2015 ᲬᲔᲚᲡ!

კავკასია
kavkasia

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ №3-4 (75-76) ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ-ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2014 ᲬᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 1 ᲚᲐᲠᲘ

ᲙᲝᲜᲐ ᲐᲠᲐᲒᲨᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ II-ᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲧᲓᲠᲔᲑᲘᲡ 36 ᲓᲐ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 82 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ



დიდის მოკრძალებით მოგესალმებით თქვენო უწმიდესობავ, ჩვენო ძვირფასო პატრიარქო!

ქართველი ერის ისტორიის ყველაზე უმძიმეს დროში მობრძანდით თქვენ „მზიანი ღამის ეტრატით“ და მზებუდობის ღამეებში მოუვლინეთ საქართველოს ღვთიური ნათება.

დიდი შხაპუნა წვიმა რომ მოვა უდაბნოში, ჯერ მდინარეებს აადიდებს და მერე ბალახსაც ამოიყვანს – აგრეთვე თქვენ, თქვენი ლოცვებით აღმოაცენეთ რწმენის მდელოები ქართველთა სულის უდაბნოში, შექმენით იმედის ოაზისები! – გააცოცხლეთ ყოველივე სულთან კავშირში მყოფელი: მუსიკა, პოეზია, მხატვრობა...

თქვენ თვითონ მხატვარმა და შემოქმედმა, საგალობლების შემქმნელმა, აკუთრთხეთ თქვენი მადლით ქართველი კაცის ღვთიური გენეტიკური კოდი და იხსენით იგი ეშმაკის (სატანის) ხელისაგან!...

თქვენ გადაარჩინეთ მიწა და მამული, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ დასაბამიდგან დღემდე!...

და აღამაღლეთ იქ, „ტაძართა სიმფონია“ და სრულიად ახალი რეალობა შექმენით.

თქვენ შეაღწიეთ უძველეს (საკრალურ) ისტორიულ პროვინციათა სიღრმეში, და შატილში პირველ ტაძარს ჩაუყარეთ საფუძველი! – იქ, სადაც არასოდეს, არც ერთი ეპისკოპოსი არ შესულა, არამც თუ პატრიარქი – არცა რომელთამე საუკუნეთა წიაღ!

ეს დიდი ენერგეტიკული ნათება, უმთვარო ღამეთა და ისტორიაში, თქვენ მოჰფინეთ „ქალდეო ქალაქთა“ ჩაშლილ ნამსხვრევებს, რომლებმაც XXI საუკუნემდე მოიტანეს უძველეს დროთა სუნთქვა!

ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

დაბადების დღეს – 1 იანვარს ვულოცავთ XX-XXI საუკუნეების უდიდეს ნოველისტს, საზოგადო მოღვაწეს და უკეთილშობილეს პიროვნებას, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს რევაზ მიშველაძეს.

ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, კვლავ მრავალი ნოველებით გაემდიდრებინოს ქართული მწერლობა.

ჩვენი ბედია გამძლეობა და ღმერთმა გაგვაძლებინოს!.. – ეს ბატონი რევაზ მიშველაძის სიტყვებია.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ“ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ

ვერავინ იტყვის იმას, რაც არ თქმულა მზის ქვეშეთში.

თქვენი აქ ყოფნის სიხარულს ვულოცავ ქართველ ხალხს – უფლის ამ უჩვეულო ჯილდოს.

ამ ხთონური მტრების ექსპანსიის (შემოტევის) და სულიერი (და ფიზიკური) მერყეობის ჟამს „სიმურთა“ დენასა და ხორშაქთა ფრფენვაში...

თქვენ – 36 წელი გედოთ ხელი სარეცელზე მწოლარე ერის პულსზე (მაჯაზე) და შეძელით მისი წამოყენება!

თქვენივე კურთხევით და ლოცვით, თითქოს არსაიდან – მოვიდა კაცი – მადლით ცხებული, უშიში და გონიერი ვითარცა კვირია და, ვგონებ, რომ იგი აღასრულებს უფლის ნებას და ერის ოცნებას.

ვფიქრობ, რომ იგი არსად არ წასულა და არც „წავა“ სამშობლოს საგუშაგიდან...

მადლობა უფალს, უწმიდესო, თქვენი მოვლინებისთვის და აქ ყოფნისთვის ამ უჟამო ჟამზე! ღმერთმა მოგანიჭოთ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე.

2014 წ. ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡ ᲗᲕᲔ

მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა

ქართული ისტორიოგრაფიის უგრწყინვალესი ვარსკვლავი



დიდი ხანი არ არის, რაც საზოგადოება გაეცნო კახეთის ერთ-ერთ უძველეს და ფრიად საინტერესო ქალაქ თელავის ისტორიას წინაქრისტიანული ხანიდან 1802 წლამდე. წიგნი: „ქალაქი თელავი და ერეკლე მეორე“ ეკუთვნის ისტორიის დიდებულ მკვლევარს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორს ბატონ ვალერიან ელანიძეს, რომელმაც უნიკალური წიგნი შემოგვთავაზა.

მკითხველი ბევრ სიახლეს შეხვდება აღნიშნულ წიგნში, რაც ერთხელ კიდევ უფრო პოპულარულს გახდის თელავს, როგორც კახეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს.

წიგნის ნახევარი ეძღვნება ყველაზე დიდი თელაველის, საქართველოს „რკინის კარის“ სახელოვანი მეფე – მხედართმთავრის – ერეკლე მეორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახლებურ განხილვას.

ავტორი ცდილობს მკითხველს გააცნოს ნამდვილი „პატარა კახი“ და როგორმე შეძლოს ყველა იმ „ბრალდებათა“ გადაფასება – ჩამოცილება, რომლებიც ქართველი ერის, ამ უდიდესი წინაპრის ღვაწლსა და ამაგს უსაფუძვლოდ აკნინებდნენ და საკამათოდ ხდიდნენ.

წიგნი აგრეთვე ეძღვნება თვალსაჩინო ღვაწლმოსილი წინაპრების ნათელ ხსოვნას, რომლებსაც გამორჩეული ადგილი უკავიათ კახეთ-ჰერეთისა და კახეთის სამეფო სატახტო ქალაქად თელავის შერჩევასა და ისტორიული კახეთის აღმშენებლობა-აღმავლობა-განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

გაზეთ „კავკასიის“ სტუმარია ბატონი **ვალერიან ელანიძე**.

– კახეთის სახელოვან ერის კაცთა დიდებით მოსილ ეპოპეაში განსაკუთრებულ პატივისცემას, ყურადღებასა და ქებათა ქებას იმსახურებენ:

კვირიკე - „დიდი კვირიკე“, ვინც პირველმა აღიარა ქალაქი თელავი კახეთის სამთავროს ცენტრად, კახეთის და კახეთ-ჰერეთის სამეფოების დედაქალაქად და რომელმაც თელავში ააშენა პირველი სამეფო-სასახლე-რეზიდენცია - „სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი“ და საერთაშორისო ავტორიტეტი მოუპოვა კახეთ ჰერეთის სახელმწიფოს.

ალექსანდრე მეორე – კახეთის ისტორიაში დიდად წოდებული, რომლის დროსაც კახეთის სამეფომ როგორც საქართველოში, ისე კავკასიაში სამართლიანად დაიმკვიდრა პირველი ადგილი.

არჩილ მეორე ბაგრატიონი – გამორჩეული მეფე – პოეტი, ვისი ინიციტივითა და ხელმძღვანელობითაც თელავში აშენდა რიგით მეორე სამეფო სასახლე, რომელიც ერთადერთია საქართველოში შემორჩენილი.

ერეკლე მეორე - „პატარა კახი“, საქართველოს რკინის კარი“, რომელმაც არაერთი სიკეთე და ბრწყინვალება შესძინა, სრულყო და მრავალმხრივ განადიდა ქალაქი თელავი, როგორც კახეთის სახელმწიფოსა და 1762 წლიდან ქალაქ თბილისთან ერთად, ქართლ-კახეთის სამეფოს ერთ-ერთ საიმედო და საყოველთაოდ გახმაურებულ პოლიტიკურ ცენტრად და სამეფო ქალაქ რეზიდენციად.

ერეკლე მეფემ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი მოუპოვა და ანგარიშგასაწევ სამეფოდ ჩამოაყალიბა. თვითონ მეფე ერეკლე, როგორც უბრწყინვალესი მხედართმთავარი და ბრძენთა-ბრძენი ხელმწიფე მთელს ევროპასა და აზიაში შეუდარებლად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა.

ამ წიგნის მრავალ უძვირფასეს ღირებულებასთან ერთად ავტორი მკითხველს აწვდის ხუთი სამართლის ძეგლს, რომელსაც არავინ არ შეხებია და მისი გაცნობის გარეშე რა თქმა უნდა ვერ დაიწერებოდა მეფე ერეკლეს ჭეშმარიტი ობიექტური ისტორია.

ბატონი ვალერიან ელანიძე ხუთივე სამართლის ძეგლს ხსენებულ მონოგრაფიაში სთავაზობს მკითხველს, რომ მან, თვითონ წაიკითოს ეს სამართლის ძეგლები და დაინახოს ნამდვილი ერეკლე, როგორც ბრძენთა ბრძენი დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ქართველი ერის დიდი ქომაგი, დამცველი და მოჭირნახულე.

ავტორი გაბედულად და მეცნიერულ ღირებულებებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ათასწლოვან ბაგრატიონთა დინასტიიდან არცერთ მეფეს არ უმოღვაწია ისეთ ურთულეს ეპოქაში, როგორც ერეკლე მეფეს.

აქედან გამომდინარე, ავტორი ასკვნის, რომ თანამედროვე საქართველომ ბოლოს და ბოლოს, სწორად უნდა შეაფასოს ერეკლე მეფის ღვაწლი და ამაგი და მას მისცენ საკადრისი შეფასება და ადგილი ქართველი ერის ისტორიაში.

მე ჩემს თავზე არ ვიღებ ამომწურავ შეფასებას, რადგან არ ვარ ისტორიკოსი, მაგრამ იმას კი ხმამაღლა ვაცხადებ, რომ რატომ სდუმან დღევანდელი ქართველი ისტორიკოსები, ან თუ გნებავთ თელავის, სადაც წიგნის ავტორი ვალერიან ელანიძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ღვაწლმოსილი მეცნიერი, ჭეშმარიტი მამულიშვილი მუშაობს, თუ გნებავთ თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტში, რომ მათ დღემდე მისი წიგნის განხილვა არ მოუწყვიათ. სწორედ ამიტომ გავუკეთე მის ნაშრომს ასეთი სათაური: „ქართული ისტორიოგრაფიის ვარსკვლავი“ და ეს წიგნი მართლაც რომ მიმაჩნია ქართული ისტორიოგრაფიის ვარსკვლავად.

ალბათ არ ვცდები და მინდა ხმამაღლა განვაცხადო, რომ ქალაქ თელავზე და ერეკლე მეორეზე ასეთი მაღალმეცნიერულ დონეზე მონოგრაფია არ დაწერილა. აქედან გამომდინარე მიკვირს, რომ დღემდე თელავის მუნიციპალიტეტების და თელავის მერიის ხელმძღვანელობა და თუ გნებავთ კახეთის საგუბერნიო ხელისუფლება, რომელიც თელავშია განთავსებული და აქედან მართავს კახეთს, რა უშლის ხელს, რომ დღემდე აღნიშნული მონოგრაფიის საჯარო განხილვა არ მოუწყვია.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიმაჩნია, რომ თბილისიდან მოწვეულნი უნდა იყვნენ სახელოვანი და ღირსეული ისტორიკოსი მეცნიერები.

ბატონი ვალერიან ელანიძე გვთავაზობს ერეკლეს პიროვნების შესახებ ბრძენთა ბრძენი დიდი ილია ჭავჭავაძის შეფასებას: „ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსიო. აი, ეს არის მისი ისტორიული სახე. თუ არ დიდბუნოვან ადამიანს, სხვა ვის შეუძლია, რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანასო“

იქვე შეხვდებით დიდი ერეკლეს მრავალმხრივ დამაფიქრებელ განაცხადს: „მე რომ არ მოვსწრებოდი, დღეს საქართველოში, ვერც ერთ ქართველს ვერ ვიპოვიდით, ყველანი გათათრდებოდნენ“.

სარეცენზიო მონოგრაფიაში ილია ჭავჭავაძისა და თვით ერეკლეს, ამ სიტყვების გვერდით მრავალი დამაფიქრებელი შეფასებებია მოტანილი ერეკლე მეორის პიროვნების შესახებ, რაც ჩვენ, მკითხველებს გვავალდებულებს, ყურად ვიღოთ ამ მონოგრაფიის ჩვენდამი გამაფრთხილებელი მოწოდებები და მივაქციოთ ამ გამოკვლევას სათანადო ყურადღება.

გასაკვირია, 2013 წლის აპრილში გამოვიდა ასეთი დონის წიგნი და მის შესახებ ბაიბური არ ისმის.

სხვათაშორის, იმდენად მცირე ტირაჟით არის აღნიშნული წიგნი (500 ცალი), რომ თელაველების უმრავლესობა ვერ გახდა წიგნის მფლობელი, სრულიად საქართველოზე რომ არაფერი ვთქვათ.

თელავის საზოგადოება კი მოითხოვს ამ მონოგრაფიის გამოცემას იმ ოდენობით, რომ თელავის ყველა ოჯახმა შეიძინოს.

მონოგრაფიის მესამე თავი ასეა დასათაურებული: „დიახ მკითხველო, ეს ყველამ უნდა ვიცოდეთ“. აღნიშნულ თავში ავტორი აქვეყნებს რეცენზიებს ერეკლე მეფის დაუმსახურებლად შეურაცხმყოფელთა არაკაცობას



და აგრეთვე მკითხველს სთავაზობს ერეკლეს თანამედროვე და მომდევნო პერიოდის საზღვარგარეთელ დიპლომატთა და სხვა დარგის მოღვაწეთა შეფასებებს.

გვთავაზობს იმასაც, რომ სპარსეთისა და თურქეთის იმდროინდელი მბრძანებლები ქედს როგორ იხრიან მეფე ერეკლეს წინაშე და საჩუქრად უგზავნიან მძიმედ მოჭედილ ხმლებს, ვერცხლითა და ოქროთი მოვარაყებული უნაგირით შეკაზმულ სანაქებო ცხენებს.

ავტორი ამას იმიტომ აკეთებს, მტერმაც და მოყვარემაც ბოლოს და ბოლოს ქედი მოვიხაროთ ერეკლეს უდიდესი დამსახურებების წინაშე და ვაღიაროთ ბაგრატიონთა დინასტიის ათასწლოვანი ისტორიის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ვარსკვლავად.

წიგნში მოთავსებულია ერთი მეტად მტკივნეული ამბავი, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ: შალვა, ელიზბარ ქსნის ერისთავების და ბიძინა ჩოლოყაშვილის ნეშტი, (მათმა მეუღლეებმა შეუძლებელი შეძლეს) მათი გვამები მოიპარეს, გადმოასვენეს საქართველოში და ქსნის ხეობაში, იკორთის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს.

ვისურვებდით, ყველა ქართველს ოჯახში დაიდოს ბინა ამ უნიკალურმა წიგნმა, იმედია, ეს სურვილი ასრულდება.

იზა ჯაჯვიძე

„ეკეთ საშოსლოს“

ძმაო და ბატონო გოჩა!

სიამოვნებითა და სიამაყით წავიკითხე შენი მიმართვა ქართველთა მიმართ.

ნეტავი შენისთანა ალალი მრჩეველი კიდე მრავლად ჰყავდეს ჩვენს ნაწამებ ერს.

ყოჩაღ, ძმაო, რომ გასაჭირში შეინარჩუნე ალალობა.

ჭაბუა ამირეჯიბი

გოჩა ხარანაული დაიბადა 1964 წელს თბილისში, დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი 1992 წელს.
ჰყავს მეუღლე და სამი შვილი

„გოჩა ხარანაული.“ ძვირფასია ეს სახელი ჩემთვის. მე არ მოვიტან იმ მარგალიტივით სტრიქონებს, ასე უხვად რომ ამშვენებს მის აბრიალებულ შემოქმედებას, (ამას სხვა გააკეთებს) იშვიათი ბედნიერებაა, როცა წერ როგორც ცხოვრობ და ცხოვრობ ისე, როგორც წერ! გოჩამ თავისი სამშობლოს ცხოვრებით იცხოვრა, მისი სიხარულით და საწუხარით!

დღემდე გამოცანად რჩება მისი ეროვნული თავმოყვარეობის ხარისხი, მისი პატრიოტული მუხტის სიბასრე და ძლევამოსილება შელახული და დამამცირებელი რეალობის მიუხედავად! ძნელია ამხელა სიყვარულით, თავგანწირვით იარო ამ მტრულ დედამიწაზე და არ წაიქცე, არ წაიფორხილო, პრინციპებმა არ გიმტყუნოს. ძნელია ჭაობში ყიყინს არ მიეჩვიო და გალობა გააგრძელო!

ჩემო ძმაო, არასოდეს გდომებია სამშობლო შენთვის, შენ თავი გინდოდა სამშობლოსათვის! წელთა მდინარებაში არც ერთი მტრისთვის თავი არ დაგიხრია, სიტყვა არ შეგირჩენია, ამუნათებდი, გმინავდი, გუგუნებდი, ემუქრებოდი, ხოლო მკითხველს სისხლს უჩქროლებდი და მოდუნების საშუალებას არ აძლევდი! არ გამოკიდებიხარ ჩინ-მედალ-ტემლაკებს, რადგან იცი, ყველაზე დიდი ჯილდო მამულის მსახურებაა უანგარო!

ვიდრე ერთი ჯანსაღი ქართველი დადის ამ დალოცვილ ქვეყანაზე, შენც ივლი შენი მბორგავი, აჯანყებული, შეუდრეკელი, ზნეობრივი, მალამო ლექსით!

შენ შორი სიღრმეებიდან მოდიხარ და მოგდევს მთისა და მდინარის, მინდვრისა და ტყის სინაზეც და სიხისტეც, დაუნდობლობაც და ლმობირებაც... მადლობა ღმერთს შენ გამო!

ამირან ხეცაძე

აი, „ბარდნის გულუხვად, თეთრად ნიღბავს ქვეყნის სიშავეს“, ამის მთქმელს, გოჩა ხარანაულს, მისივე სიტყვებით ვეტყვი „შენ გაქვს ღირსება, ქრისტიანის, კაცის, ქართველის“. დიახ, მე ვუმზერ მზეს ამომავალს, ვუმზერ და ველი სიყვარულს, რაღა თქმა უნდა, უფლისმიერს, რამეთუ ღმერთი – სიყვარულია. მე ჩამავალ მზეზე ვსაუბრობდი, დიახ, მზე ვერ ჩავა, თუ არ ამოვიდა.

სილამაზე და მშვენიერება სიკვდილშიც კია, თორემ ისე ვინ იტყოდა – „შენ გენაცვალე, სიკდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა“. ასე რომ, დამიჯერეთ, ასეა მზისქვეშეთში, ასეა ღრუბლიან საქართველოში, ასეა ყველგან, „როგორც არასდროს, დღეს გვჭირდება, ძმაო, ერთობა“. გოჩა ხარანაულო, აი, ვკითხულობ შენს ლექსებს, სავსეს ტკივილით და სიყვარულით, ვკითხულობ და მე, ჩამავალი მზის ამოსვლას ვუმზერ იმედით. მინდა მჯეროდეს, რომ კვლავ გაბრწყინდება საქართველო, ჩვენი დედამიწა, ჩვენი დედასამშობლო, ჩვენი დედაბოძი, კვლავაც დაარწევს შვილის აკვანს დედა ქართველისა.

გაიხარე, გოჩა ხარანაულო!

ჯანსულ ჩარკვიანი

დეპუტატობა უდიდესი პასუხისმგებლობაა

ერეკლე ტრიპოლსკი 1951 წლის 24 სექტემბრეს დაიბადა. დაამთავრა ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი, ინგლისური ენის განხრით. ასევე დაამთავრა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, დოკუმენტური კინოს და ტელეფილმის რეჟისორის სპეციალობით და მუშაობდა კინორეჟისურაზე. 1974 წელს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ლაბორანტად მუშაობდა.

1975-1984 წლებში გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ლაბორატორიის რეჟისორი.

1984-1995 წლებში იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი. 1995-2003 წლებში ტელეკომპანია მე-9 არხის გენერალური დირექტორი.

2004-2008 წლებში ტელეკომპანია „მზის“ განყოფილების ხელმძღვანელად გვევლინება.

2008 წელს საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს თავჯდომარეა. 2009-2011 წლებში ტელეკომპანია „ერთსულოვნების“ სამხატვრო ხელმძღვანელი.

2011-2012 წლებში ტელეკომპანია მე-9 არხის გენერალური დირექტორის მრჩეველი გახდა.

ბატონი ერეკლე ამჟამად დუშეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატია, ასევე ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარეა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის, ესპანეთის სამეფოს, თურქეთის რესპუბლიკის, საფრანგეთის რესპუბლიკის, ყაზახეთის რესპუბლიკის, პარლამენტთა მეგობრობის ჯგუფის წევრი, ევროკავშირის (საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის საპარლამენტო დელეგაციის წევრი.)

— ბატონო ერეკლე, ვიდრე საუბარს დავიწყებთ მინდა განსაკუთრებული პატივისცემა და სითბო გამოვხატო თქვენდამი, როგორც <u>საქართველოსთვის დაუვიწყარი მსახიობის, იაკობ ტრიპოლსკის</u> შვილისადმი და ჩემი ღრმა პატივისცემა მისი შემოქმედებითი ღვაწლის მიმართ.

<u>დეპუტატობა დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს, მითუმეტეს მთიან რეგიონში, რადგან უამრავი სამქიანობის თვალსაზრისით აქ მეტი პრობლემა გროვდება. რა არის თქვენთვის დუშეთის რაიონი, საკუთარი არჩევანია თუ ნებისმიერი კუთხე, სადაც შემოგთავაზებდნენ?</u>

— დიახ, ქალბატონო იზა, გეთანხმებით, რომ დეპუტატობა რთული ყოფილა, ეს ხომ ჩემთვის ახალია. მე პირველად ვარ მაჟორიტარი დეპუტატი და დავინახე რა დიდი პასუხისმგებლობაა, რა უდევს საფუძვლად ამას, იმასაც გიპასუხებთ, რომ დუშეთი ჩემთვის სულერთი არ იყო. რა თქმა უნდა არჩევანი მქონდა. რომ დუშეთში ვყოფილიყავი, რადგანაც ჩემი გვარის ისტორია საქართველოში დუშეთიდან იწყება. აქედან გამომდინარე მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ქალბატონი **ინგა გრიგოლიას** გადაცემაში, რომელიც ჩემთვის უცნობ დუშელ მოქალაქეებთან თუ „უცხოპლანეტელებთან“ გაცხადდა, მათ ჰკითხეს: მიცნობენ თუ არ მიცნობენ, ამაზე სამმა ადამიანმა უპასუხა, რომ არავინ არ არის მათი დეპუტატი და არ მიცნობენ.

**„აქედან გზებს ტყუილად ვაკეთებთ, უული გადაჭრილია, არავინ არ დაბრუნდება იმ სოფლებში, რომლებიც დაიცალა... რანაირი გზაც არ უნდა გაიყვანონ. ის რომ ვინმე დაბრუნდეს მთაში ტყუილია. მარტო გზა ვერ უშველის, თუ იქ საწარმოები არ აშენდა, თუ იქ ადამიანები არ დასაქმდებიან. ეს ერთ-ერთ ტაბუ-ა, ეს ერთ-ერთ ტაბუ-ა

ლევან ცალუღელაშვილი

***

ვერ დაგპირდები,
არ დამათრობს მზერა ქალღმერთის,
როცა დალევას არ მაძალებს
მთვარე თამადა...
მაინც ვერ გითხარ, ფშავლის ქალავ,
რარიგად გეტრფი,
ტიალ გულში რომ უშენობა
გამიავდარდა...
ვერ დაგპირდები არ ვემთხვევი
შენს სათაურას,
ნანაურს შენსას
მომხვდურად არ გადავეყრები...
შენმა თოლებმა
გამატყიურ-გამამთაურა,
უშენოდ ღრუბლებს
ხევ-ხუვებში
ჩავესეტყვები...
ვერ დაგპირდები
არ დაგიშლი მოჯარულ ნაწნავთ...
არ დაგიჩოქებ,
უგონოდ არ გავწარმართდები,
დაცლილ ფიალას გადავუგდებ
მთვარეს — თამადას,
მერე მაგ თმების უკუნეთში
დავსამარდები!

***

რა დროს ბოღმა და
შფოთია,
უკვე ვერსად გადავშენდებით,
იქნებ უფრო მეტად გიყვარდე,
ვიდრე სულ მთლად
გაგითეთრდები...
დავლევ და ... ისევ ამბობ,
— „ლოთია!“
მიბრძანებ? — მთვრალი ვარ და
გნებდები...
არ იმჩნევ, მაგრამ განა ვერ ხვდები.
— შენ და მე ღვინოსავით
ვძველდებით...
ერთ დღესაც გულს გატკენ,
თან როგორ!
დარდად, ცრემლად
აგიფეთქდები...
იცოდე, დროა მეტად გიყვარდე...
მაშასადამე...
ვბერდებით!

***

კარს ხმაურით რომ მომიჯრიან
ან თავად მივჯრი,
გამიცოცხლდების ნანახ-გაგონილ...
ვიხორც იარებს...
გამახსენდების რაგვერ დამჭერ, დამახალ მიჯრით,
რაგვერ მიყვარდი, შენ მაძებარმ სად არ ვიარე...

რარიგად მწამდის, ემაგ თოლებს, —
მზეჩაბუდებულთ,
სულეთის კართან ზარად, მეხად გამიელვებდი...
შენც მასწყინდები სააქაოს... იქავ მამიხვალ,
უწინ ნახსომი ბოღმასავით
დამიძველდები!

შესანდობარი

უყვარდა ძველი,
მოსახევი კალენდრის კითხვა,
ფურცელს არასოდეს ახევდა,
„ქადაგებასთან“ ნაღვენთი სანთლის,
პაპაჩემს ლოცვაში ამხელდა.

კეცავდა ფურცლის კიდეს სამკუთხად,
ლოცვაზე მწუხრის,
ცისკრის ჟამისა,
ფერისცვალების საკითხავის ბოლო
სანიშნეს,
ახსოვს იმქვეყნად წასვლა პაპისა...

და დარჩა როგორც შესანდობარი,
უწყებასავით გაკეცილი ფურცლების კიდე,
გამახსენდება პაპაჩემის მე სახსოვარი:
„გწამდეს ხატ-ღმერთი,
ეს ცხოვრება
კიბეა,
კიბე!“

***

ვეღარას შევძლებ, -
ცელის ქნევას,
ზვინების დადგამს,
ჩემ დარგულ ხეხილს
გულს დაუღრღნის
პაპი ფითრები,
სამარწყვის გორზე სირბილი
რომ მოგეწყინება,
მოიხედავ და...
აღარ ვიქნები.
— გენაცვლოს ბაბო, როგორ გელი,
თვალებბრიალავ,
წინდას გიქსოვ
და შენს ალერსში გავირინდები,
გახურავ ბაბო, გულზე საბანს,
არ გამიცივდე,
მოიხედავ და...
აღარ ვიქნები...
აგვინთებ სანთელს,
მიმქრალ კერას
სულს შეუბერავ,
გაგვიშლი სუფრას...
სულში სევდას ჩაენისლები,
ახლა შენ გასხლავ პაპას ხეხილს,
ფითრს შემოაცლი...
მოიხედავ და...
ისევ ვიქნებით...

***

დღეს საქართველო
ხელგაწვდილი
მათხოვარია...
და სისხლდაშრეტილ თვალებს
აცეცებს...
უცხო მიწაზე გახიზნულა
დედა ქართველისა,
უცხოს ხარკს უხდის,
მაგრამ არავის უყოფს
სარეცელს!

***

ცრემლი შლის მელანს,
მერამდენედ დაიწყო წერა,
„ვეღარ გხედავთო შვილო,
ბავშვებს, — დედის საფერებს!
სხვის აკვანს ვარწევ, —
თქვენ მგონიხართ,
სხვის სახლს ვალაგებ...
ვეღარ ვიოკებ ამ ყრუ ტკივილს,
გულს რომ ახელებს.
გაიცრიცება,
წავა ჩემი ყმაწვილქალობაც...
ხან დაეცემა ხან აიწევს
აქ — ევროს ფასი...
მერე ვიქცევი ხმალშემართულ
იმ უტყვ აჩრდილად,
ზეცისკენ კრძალვით
აღუმართავს
რომელსაც თასი!“

***

დღეს საქართველო
ხელგაწვდილი
მათხოვარია...
და სისხლდაშრეტილ თვალებს
აცეცებს...
უცხო მიწაზე გახიზნულა
დედა ქართველისა,
უცხოს ხარკს უხდის,
მხოლოდ
სიკვდილს უყოფს
სარეცელს!

***

ნაში ჩამოვდგაო
ვიტყვ, სიპ ქვით ნაშენებ,
ღვთის ხატს რას ვწირ მე,
გაუგონთებულ, —
რით გავამშვენებ...
სანთელს დავანთებო,
ვახსენებო ბაბო-პაპათ სახელებ...
საკმელს მოვუკმევო,
დავლოცავო იმათ ნავალ მთა-ველებ...
ღვთის შვილთად ხვეწნით,
დაწუხებულ ფიქრების
ფარას გზას გავუყენებ,
თას-შესანდობარსა,
პურ-სუფრაზე
წესს დავუყენებ...
ნაში ჩამოვდგაო,
ვიტყვ,
სიპ ქვით ნაშენებ!

მზია ხეთაგური

ის მაინც მოვა, «ის მაინც ბრუნავს!»

ყველამ რომ იცრუოს და ზურგი მაქციოს,
ის არ მიმატოვებს ახალი წელი!
მოვა და შეძლებს, რომ დედოფლად გაქციოს,
უცებ დაგიამოს ტკივილი ძველი!
დე სევდის ღრუბელმა ღრუბლისფრად შემღებოს,
გულს გამიხალისებს ნაძვების ბრწყინვა,
კარს თოვლის ბაბუა უშიშრად შემიდებს —
წუთით მაპოვნინებს დაკარგულ ცხინვალს!
სატრფოს, დე, თვალები შენგან შორს გაექცეს,
ცრუ სადღეგრძელოებს დღეც მოკლე ელის...
ის მაინც მოვა და კვლავ მოგიალერსებს
მარად მარადმწვანე ახალი წელი!

ჯუმბერ გოგრიჭიანი

კავკასიონის სადროშო

კავკასიონის სადროშოვ,
უფალი ღმერთი გფარავდეს,
მხარში უდგახარ სამშობლოს,
სალ კლდეებსა და ქარაფებს...
ჩემი წინაპრის სული გაქვს,
ჩემი მიწა-წყლის ფერები,
ხან ისე მომესურვები,
ბავშვივით მოგეფერები...
ბებერი კავკასიონის,
ჯანი და წლები მოგეცეს,
სიტყვა-მონაბერ სითთი,
მრავალჯერ გაგვაოცებდე...
ქართული ადათ-წესებით,
ღვარად დიოდე ქვეყანას,
ჩემი სამშობლო-ედემი,
მწუხრიდან გამოგეყვანა...
შენს სტრიქონებში დარდი და
ჩემი მამულის დვრიტაა,
მზედ დაჰნათოდე მაღლიდან,
ღვთისმშობლის წილ-ხვედრ მიწა-წყალს...
კავკასიელთა გულ-მკერდზე,
მირონისავით დიოდე,
ვაჟას თვალებით, ფურცლებზე,
უფალი ამოგდიოდეს!

ეკა ბაძრაძე

საახალწლო ელეგია

როცა ბავშვი ხელგაწვდილი
მოწყალებას გთხოვს,
ნუ იტყვი, რომ ლამაზად და
ხვავრიელად თოვს!
როცა სულით დამაშვრალთა
იმედის ჭერს ახდი,
მხოლოდ სიზმრად გიდგას როცა
„კურთხეული“ ტახტი!..
როცა ერის ზნეობას და
სიამაყეს კლავენ,
მომავლის ძვლებს ახმობენ და
წინაპრის ძვლებს ხრავენ!..
როცა ჩრდილში დაშრეტილი,
ისევ ჩრდილში ცურავს,
ნუ იტყვი, რომ საქართველოს
ლამაზი ცა ხურავს!
თეთრი თოვლი ფერდობებზე
კალთებს იგლეჯს როცა,
პაწაწინა მათხოვარი
წყალობისთვის გლოცავს...
ღმერთო, ვისთვის მომავალშიც
ხვავრიელად ითოვს,
საახალწლოდ საქართველო
მოწყალებას ითხოვს!

ციცინო ბაბუციძე

ეს საახალწლო სიმღერა

მენატრებიან,
ვენახში
ალადასტურის მტევნები...
მენატრებიან,
ყანებში,
ღიღილოს ლურჯი ტევრები...

მენატრებიან,
ბომბორა —
მთები, ცხრათავა დევები...
მენატრებიან,
ღიპუცა და
სარქველმძიმე ქვევრები...

მენატრებიან,
საბძელთან —
ბზით გაძეძგილი კევრები...

მენატრებიან,
მამები —
შრომით დაღლილი ხელებით...
ჩემი ბაბო და პაპების —
ნაბიჯი, სვენებ-სვენებით...

მენატრებიან,
ურმები,
თვალებბრიალა ხარებით...
ყანაში თივის ზვინები,
ვით, მზით ნაქსოვი კარვები...

მენატრებიან, ზედაშე
ქვევრის ჯვრიანი თავები...
საფერავდანაპკურები —
პურები და საფლავები...

მენატრებიან
ჭალები,
ლიახვის იწილ-ბიწილო...
თავს არ ვუტყდები,
თორემ მსურს,
ყოველდღე ვიკივლ-ვიწივლო...

ვერ ვნახე მისი სანაცვლო,
ვინ იპოვა და ვინ ვერა,
და მონატრებით ავავსე
ეს საახალწლო სიმღერა!

ქეთევან დოლიძე

ღმერთო, შენ გაუთენე ჩემს ქვეყანას მშვიდობის დილა და მშვიდობის წელიწადი. მოგვეცი ძალა, რომ მუშტისხელა გულებიდან ცოდვისა და ბოღმის ღვარი ამოვიხაპოთ და ძველი წლის მდინარებას გავატანოთ. საშოვარსა თუ საარსებოზე გადაგებულ ერს ერთმანეთის სიყვარულისა და ერთგულების დაკარგული ნიჭი გვაპოვნინე, მამული აღგვიდგინე, გაგვაჯანსაღე და გაგვამრთელე.

შობის ღამეს სხეული ბეთლემად გვიქციე, გული – თივაჩაფენილ ბაგად და ღირსი გაგვხადე ჩვენს გულებშიც იშვას უფალი. ქრისტეშობით გაბრწყინებულები უკეთესად დავინახავთ მშიერსა და შეცივნულ უპოვრებს... იმათ სევდასაც გავითავისებთ, ვინც გოზინაყი ვერ გააკეთა და ერთმანეთი მარტო ტკბილი სიტყვით „დააბერა“.

მოყვასი გვიმრავლე, მტერიც დაგვიმოყვრე, ქვეყანა – მშვიდობით, გონება – სიბრძნით, გული – სიკეთით, ბედელი – ბარაქით, მარანი – ღვინით, სახლი კი სიხარულითა და „პატარა“ ქართველებით აგვივსე.

ღმერთო, შენ გაუთენე ჩემს ქვეყანას მშვიდობის დილა და მშვიდობის წელიწადი!

საშობაო სიმღერა

შობის ღამეს ცა ნათდება
ანგელოზთა გალობით,
ფანტელებსაც გული უცემთ
და სუნთქავსო ქვა-ლოდიც.

შობის ღამეს ვინც არ გიყვარს,
ისიც უნდა გიყვარდეს,
გულში თოთო უფალი გყავს,
როგორ არ გაგიხარდეს?!

შობის ღამეს სიკეთე და
სათნოება ვერ თვალეს,
შობის ღამეს ჩავეხუტოთ,
ჩავეხუტოთ ერთმანეთს.

საქართველოში „ვეფხვის „მეკვლეობა“

გიორგი ლიქოკელის ჰოემის (წიმდვილი ამბების) მიხედვით

ვეფხვი ინდომალაისა და პალიარქტივის ოლქების მოდგმის მტაცებელთა რიგის კატისებრთა ოჯახის, (პანტერას გვარის) უძლეველი, უშიშარი პანიკური შიშის მთესველი მხეცია.

... როგორც ირკვევა, თურანული ვეფხვი, შუა აზიის – კასპიისპირა დაბლობიდან საკვების მოსაპოვებლად მიგრაციით შემოდიოდა და თერგის, ასას, არღუნის ხეობათა გავლით აღწევდა საქართველომდე. ვეფხვის შემოსვლასა და ნაძვის შემთხვევაში მკვლევარები აღნიშნავენ: 1735, 1820, 1990, 1895 და 1922 წლებში.

უკანასკნელი „მეკვლე“ – თბილისიდან დიღმულას ხეობაში, სოფელ ლელობშია 1922 წელს მოკლული. მისი ფიტული გერმანელი ტაქსოდერმისტის კრელის მიერ სანიმუშოდაა გაკეთებული და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. არანაკლებ საინტერესო სანახავი იყო მწერალთა კავშირის ფოიეში არსებული ვეფხვის ზოოპარკისეული ფიტულიც, რომელიც ამჟამად არ ჩანს!...

ეს მასალები მეტად საჭირო და უნიკალურია. თურანული ვეფხვის საქართველოში რეალურად გავრცელების სხვა ფაქტი, კავკასიაში არ არსებობს. მითუმეტეს ვეფხვს ჯერ კიდევ კარგად არ იცნობს საქართველოს მოსახლეობა, ბევრგან მას არასწორად ლეოპარდსა და ჯიქს უწოდებენ და ამ საკითხზე დაუსრულებლად დაობენ იმ დროს, როცა ისინი ვეფხვისგან მკვეთრად განსხვავებული სახეობებია.

საქართველოში ვეფხვმა ღირსეული კვალი დატოვა. ეს ამბავი **დავით რექტორს** არ გამოპარვია და კახეთში – ზაქათალაში მოპოვებული ვეფხვის აღწერისას წერს: „ტიგრი თვალით ჩემით ვიხილე, ტყავი მისი გავზომეთ და 3 ვეფხვის ტყავისოდენი სიგრძე გამოვიდა.

მისი ბალნის ფერი იყო მცირედ მოწითალო, კისრიდან შუა ხერხემლამდე კუდამდის 3 თითის სიბრტყე, შავი ფერი წარმოშობილი ჰქონდა. იმ შავიდან კიდე მარჯვნივ და მარცხნივ სამ-სამი წეპლა წამოზიდული ჰქონდა“. ეს ნიშნები სრულიად საკმარისია მისი სახეობის დადგენისათვის.

საქართველოში ვეფხვის შემოსვლა – მოპოვების სარწმუნო ცნობად, პალეონტოლოგიური მასალის ტოლფასად, უნდა მივიჩნიოთ და ღვთიურ ცხოველად – ტოტემად აღიარებას ვიგებთ ლექსით და დატირებით: – „ტოტი ჩამოჰკრა ზოლიანმა“, მოკლულ ცხოველს ზოლიანობის მიხედვით იმდენჯერ დაიტირებდნენ რამდენი ზოლიც ჰქონდა „მიცვალებულს“. რომ ეს ცოდვები უფალს შეენდო და მომავალ თაობას არ მოსწეოდა (გვარის გადაშენებასაც ხშირად ამგვარი მიზეზებით ხსნიდნენ).

— ნეტა შენ მაგივრად შვილი მოგვეკლა, რომ არ მოგვეკლა შენი თავი.
— ნეტა ისევ ჩვენი სახლი დაგვეწვა, რომ არ მოგვეკლა შენი თავი.
— ნეტა ჩვენი დედ-მამა დახოცილიყო, რომ არ მოგვეკლა შენი თავი.
— ისევ ჩვენი თავი მოგვეკლა ა.შ.
(ე. ვირსალაძე – ქართული სამონადირეო ეპოსი 1964 წ. გვ.27)

საქართველოში ვეფხვის შემოსვლა – გავრცელების დრო, ადგილი და ქცევებია ასახული „ვეფხვისა და მოყმის ბალადაში“. ამბავი წარმართობის დროიდან მომდინარეობს, როცა ადამიანს საომარი და თავდაცვის საიმედო საშუალება – ჯაჭვის პერანგი, ხმალი და მშვილდისარი იყო. (თოფის ხსენება აქ ამბის – ლექსის დამახინჯებას ნიშნავს).

მოყმისა და ვეფხვის შეხვედრის ადგილი, ნასოფლარი „ხარხო“, ხევსურეთში, სოფელ **გუდანთან**, ორხევს შორის ტაფობზე მდებარეობს. ეკოლოგიურად (ის დიღმულას ხეობის სოფელ „ლელობის“ ანალოგიურია – სადაც სამუზეუმო ვეფხვია მოპოვებული) ორივე გზაშესაყარი ადგილია, სადაც პირუტყვი და ადამიანი დღესაც ხშირად დადის. სიტყვა „ხარხო“ მთის ყურის ტაფობი ადგილია (ხო-ახო) სახარავნე ახოს ან „საღორე ახოს“ უნდა ნიშნავდეს. ხა – ხორხი, ვეინახურად კი – ხა – ღორს ნიშნავს. (აქ გადის ასას ხეობისკენ გამავალი ცხოველთა – ღორისა და მის თანმდევი ვეფხვის სამიგრაციო გზა). იქიდან შემოსული ღორი დღესაც ამ დაბლობ ადგილებში ჩერდება. ისე, რომ ეს უშიშარი ტაბუდადებული მხეცი ასეთ ეკოლოგიურად ხელსაყრელ ადგილებს თვითონ ირჩევდა. აქ მას პატივი და საკვები არ აკლდა, უთვალავი პირუტყვი და თორმეტი ადამიანი ჰყავდა შეჭმული. ადგილმდებარეობის ამგვარი მოცემის საფუძველზე ბალადის გაგრძელებას სამ კარიან მინი პოემად გვთავაზობს: („მთის არწივები“. 204 გვ.20-32)

„ოდესღაც
ყურაულები,
ძმები ცხოვრობდნენ
გუდანსა,
ხნავდნენ, თიბდნენ
და თესავდნენ
ქვემო და ზემო
უბანსა,
აქ ვეფხვი კაციჭამია
გადმოხვეწილი
„ხარხოსა“,
თორმეტი კაცი
მოეკლა,
ვერვინ უვლიდა
ახლოსა“...

ამ არემარეში დატრიალებულ დიდ ცოდვებს ყველა განიცდიდა, მაგრამ ღვთის შიშით მაინც ითმენდნენ.

ერთ დღეს, აქვე, სოფელ ღულში მცხოვრები გოგონა – მგელას ახლად დანიშნული, 18 წლის მზევინარი უგზო-უკვლოდ გაქრა. აშკარა იყო, პირუტყვს მწყემსად გაყოლილი ვეფხვმა იმსხვერპლა. სოფელი პანიკური შიშით აჩოჩქოლდა, ტოტემური რწმენით გაბრუებული ხუცესი – ფუნჩია კი გამღიზიანებლად მაინც თავისას იმეორებდა, რომ „ეგ მიზეზია ჯვარისა, ურწმუნოებაზე ილაშქრებსო“. სწორუპოვარი რაინდის მგელა ყორაულის მოთმინების ფიალა აივსო, მას ეჭვი არ ეპარებოდა სატრფოს უმანკოება – სიწმინდეში და ჯერ კიდევ პირშიშველა მოყმე, უწინ გუდანის ჯვრის (ბერი ბაადურის) კარზე მივიდა – ქუდმოხდითა და ჩოქმოყრით შეევედრა:

„იდედე შენ ბაადურო, მხარახსნოლო,
მეომარო...
მორიგე ღმერთს შემაგვედრო,
შენი ძალაც მომახმარო,
კაცი-ჭამიისგან ვიხსნა, შენი ყმანი,
შენი მხარე!

მოკლედ, ამავალ გზაბაწარს აჰყვა და ნახოლარში სიმაძღრით მძინარე, შემზარავ - „ბაბრ“ მხეცს წაადგა. (მაძღარ ვეფხვს ღრმა ძილი ახასიათებს, (ჯიქს კი არა) ამ თვისებითაც განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან). მძინარე „ღვთისშვილზე“ თავდასხმა რაინდს ღალატად მიაჩნდა. ჯერ გვერდის ავლით გააგრძელა გზა. ცხადია, მას არც არათანაბარი იარაღის, ისრისა და შუბის გამოყენება განუზრახავს, იმ დროისათვის ხმალი იყო ვაჟკაცობის საცდელი, ღვთისაგან ნაკურთხი იარაღი. ეს ასახულია დედის დატირებაშიც: „ჩემს შვილს ხმლით იმას ტოტითა დღე დაუღამდა მზიანი“.

მგელამ გამოვლისას უშიშრად ჩასძახა ვეფხვს: გამაიღვიძე, შე კაციჭამიავ, ყურაულთ მგელა მავიდა – გავსწორდეთო და ვეფხვმაც აღარ დააყოვნა, გაღვიძებულმა „თვალნი არისხნა ღვთისანი, გაზით გაართვნა კალთანი ჯაჭვისა-ჯავშანისანი“. ვეღარც ფარმა იფარა, ისევ მრავალნაცადმა ფხაშეუშლელმა, მკვეთელმა ფრანგულმა იმარჯვა. ასე მოინათლა (ვეფხვი საქართველოში შემოსვლის მოწმედ) – სახელოვან მახვილად, ორი გმირის (მოყმის და ვეფხვის) „მშობელი“ ხმალი, „ყურაულა“.

ვეფხვისა და მოყმის სიმამაცის ამბავმა აქვე მდებარე სანება-ცროლის მთა გადავლო, არხოტის ხეობის კლდიან საჯიხვეებში, (სადაც ვეფხვის არსებობა ეკოლოგიურად შეუძლებელია), სისხლის მსმელ ჯიქს მორგებულად ჩაანაცვლეს და ამ გაერთიანებით ლექსი პოეზიის შედევრად აქციეს... მოყმის თვალცრემლიანი დედის მოთქმა-გოდება და სხვა საკაცობრიო ადამიანური იდეები აქაური ეროვნული ბუნების შთაგონებითაა მომადლებული და ქართული ნიჭიერების ნაყოფია, თორემ ვეფხვი სხვა ქვეყნებში უფრო მრავლად იყო და დღესაც არსებობს, მაგრამ მსგავსი პოეტური შედევრები არსად შექმნილა. ამით ფასდება, მაგრამ არ მთავრდება ვეფხვის კვალ-მეკვლეობა საქართველოში. დღეს ეს ამბავი ხევსურეთისათვის (ხარხო – ბეგენგორის სამზირი ღელისვაკიდან) ერთ ეკოტურისტულ ბილიკს მთლიანად ავსებს და ეკოტურისტებს ვეფხვისა და მოყმის სიმღერით მოუხმობს...

უმთავრესი კი ის არის, რომ მრისხანე ვეფხვის გავრცელებისა და შეხვედრის შიშთან, ტოტემურ მორიდებასა და ღვთიურ პატივდებასთან ერთად იბადებოდა უფრო მაღალი, სხვა ზეადამიანური გრძნობები, ღირსებები და იდეები: რწმენისა, ვაჟკაცობისა, რაინდობისა, მამაცობისა, გაუტეხლობისა, მოყმის დედის სულიერი სიმტკიცისა და, რაც მთავარია, ვეფხვის შესადარი შვილის აღზრდისა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამგვარი შთაგონებისა და იდეების საფუძველზეა შექმნილი „ვეფხვისტყაოსანი“.

„ვეფხვისა და მოყმის“ ბალადის 17-მდე სხვადასხვა ვარიანტია გამოქვეყნებული, საიდანაც მოსწავლეთა სასწავლო პროგრამისათვის (მიუხედავად იმისა, რომ ტექსტებს ხშირად ლექსიკონებიც ერთვის) ერთი ჭეშმარიტად გაგებული ვარიანტის შერჩევა დღემდე ჭიანურდება. მომღერლები და გამომცემლები ხშირად ერთსა და იმავე შეცდომებს იმეორებენ. ამიტომ, რაკი ჩვენი წერილი ვეფხვის საქართველოში გავრცელებას ეხება „ვეფხვისა და მოყმის“ ლექსის საბოლოოდ, პროფ. დავით გოგოჭურის „ეს უმღერია პაპას“ შერჩეული ვარიანტის მიხედვით თანდართვას საჭიროებს.

მოყმე და ვეფხვი

მოყმემა პირშიშველამა შიბნ გაიარნა კლდისანი,
მოინადირნა დალახნა ბილიკნი ჭიუხისანი,
შამახვდეს კლდისა თავზედა ხორონი ჯიხვებისანი
ჯიხვს ისარ დახკრა ბერხენსა, ჭალას ჯახნ იქნეს რქისანი,
ზედ დამემ უსწვრა მოყმესა, გზან ვერ გაიღნა კლდისანი.

შაღვარდა ვეფხვსა ნაწოლსა, დრონ იყვნეს შუაღმისანი,
ვეფხვი რო წამაუფრინდა, თვალნი არისხნა ღვთისანი
შაიბნეს ვეფხვი მოყმეი, მაშინ დაიძრნეს მიწანი,
კლდეები ჩამაინგრივნეს, შტონ დაილეწნენ ტყისანი,
დრონ აღარ დარჩეს მოყმესა ვადა ეწითლნეს ხმლისანი.
ფარს უფარებს და ვერ ფარობს, ვეფხვნი ჩქარნია კლდისანი,
გაზით გაართვნა კალთანი ჯაჭვისა, ჯავშანისანი.
მოყმემაც ხელში იყარნა ვადანი თავის ხმლისანი,
იმდროს გაუჭრა ფრანგულმა დრო იყვნეს წაქცევისანი.
ვეფხვი კლდეთ გადაეკიდა, ჩამააწითლნა ქვიშანი.
თაოდ კლდის თავზე შამაწვა მოყმე სულ ამამდინარი
ვინ ეტყვის მაგის დედასა, კარს უსხენ ქადაგ-მისანნი
უერთოდ არ დაიხარჯვნეს ჩვენის აფხაზნის ისარნი.
იარებოდა დედაი ტირილით თვალცრემლიანი:
„ჩემს შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია, გაჯავრებული, ტიალი,
ჩემს შვილს ხმლით იმას ტოტითა დღე დაუბნელდა მზიანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი, არც ჩემ შვილ დახვდა ჭკვიანი.
მათ დაუხოცავთ ერთურთი, არ დარჩნენ სირცხვილიანნი
ტირილით წყრულებს უხვევდა, ვეფხვის კლანჭებით დაჭრილსა,
„შვილო, არ მაჭკვდი, შენ ვძინავ დაქანცული ხარ ჯაფითა
ეგ შენი ჯაჭვის კალთები ტიალმა როგორ დაფლითა?!
შენც იმის საფერ ყოფილხარ, ხმალი ქნევაში გაგიცვდა,
არც იმან მოგცა მეტი დრო, აღარც შენ დაიცალია
ვეღარც შენ დაგიფარებავ შენ ხელთ ნაჭერი ფარია,
ვეღარცა ვეფხვმა ტოტები, ხმალმა დაკუწა ძვალია
მაგის მეტს აღარ გიტირებ შენ არ ხარ სატირალია,
ლაშქარში მეომარშია არ იყავნ საწუნარია,
აქამდი მაინც გაგზარდე ვეფხვებთან მეომარია.
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს! ეგიც სამარის კარია.
ხან ვეფხვი ხან თავის შვილი ელანდებოდის მძინარსა:
ხან ვითამ ვეფხვი იმის შვილს აყრის ტანზეით რკინასა.
ხან ვითამ იმისი შვილი ვეფხვს გადაავლევს ყირასა.
აი, მაგ სიზმრებს ხედავდის გამაეღვიძის მტირალსა,
ხან იფიქრებდა: „უდედოდ გაზდა ვინა თქვა შვილისა?
იქნება ვეფხვის დედაი ჩემებრ მწარედა ტირისა?
წავიდე, მეც იქ მივიდე სამძიმარ უთხრა ჭირისა
ის თავის დარდებს მიამბობს, მეც უთხრა ჩემი შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების უწყალოდ ხმლით დაჭრილისა“.

ფოლკლორული მასალებიც, სვანეთსა და ხევსურეთში ვეფხვის გავრცელებაზე და ქცევებზე, თქმულებებისა და ბალადების გარდა სხვა უკეთესი უტყუარი მასალა ხომ არ არსებობს. ასე მაგალითად: სვანეთში ვეფხვის ზოლიანად ცნობასა ამორჩევითობა ლეოპარტს ნაკლებად ახასიათებს, ის უფრო მოძრავ ცხოვრებას ეწევა. ბალადაში ხსენებულ ამბებს ამ კუთხის ეთნოგრაფიისა და მეანდერძის დიდი მცოდნე, პედაგოგი და პოეტი გიორგი ლიქოკელი „ვეფხვისა და მოყმის ამბავს“ სინამდვილედ მიიჩნევს და მის მეანდერძის, ხევისბერ გადუა ჭინჭარაულის გადმოცემის საფუძველზე ბალადის გაგრძელებას სამ კარიან მინი პოემად გვთავაზობს:

ვაჟკაცურად შემახვედრე,
დამალოცე მკლავიც, ხმალიც!
არის ვეფხვი უსწრაფესი
ღირსეული მეომარი“.

შემდეგ თავის-ჩაჩქანი დაიხურა, „მკლავნი გაიმამაცურნა“ და ხმლის იმედით გაემართა, „ხარხოსკენ“, სადაც ის კაციჭამია ეგულებოდა.

ალექსი არაბული

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

საქართველოს 164 სოფელი მთლიანად გაუკაცრიელდა!

მთის პრობლემასთან და პრობლემის გადაჭრის გზებთან დაკავშირებით „ქორთიარდ მარიოტში“ სპეციალური კონფერენცია მოეწყო. კონფერენცია სახელწოდებით „შ შ საქართველოს მთა“ „დემოგრაფიული აღორძინების ფონდის“, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის ორგანიზებით ტარდება.

კონფერენციაზე განიხილეს მთაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა და დემოგრაფიული პრობლემები. ორგანიზატორთა თქმით, 2002 წლის მონაცემებით საქართველოში 164 სოფელი მთლიანად გაუკაცრიელდა, ხოლო 152 სოფელში 10-10-ზე ნაკლები კომლი ცხოვრობს. ამ სოფლების უმეტესობა მთიანი სოფელია, ასევე უმძიმესი მდგომარეობაა საზღვრისპირა ზოლში, რომელიც თითქმის მთლიანად არის დაცლილი მოსახლეობისაგან. საუბარია ასევე ერთიანი დოკუმენტის შემუშავებაზე, რომელიც მომზადების შემდეგ კანონპროექტის სახით წარედგინება პარლამენტს.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ მთავრობისა და პარლამენტის წევრები. მთის პრობლემების გადაჭრის მიმართულებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ხელისუფლებას საკუთარ წინადადებებსა და მოსაზრებებს სთავაზობს. ამ თემაზე პატრიარქის სპეციალური წერილი „ქორთიად მარიოტის“ კონფერენციაზე წაიკითხეს.

— გულითადად მოგესალმებით დღევანდელი შეხვედრის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს და გამოვხატავ ჩემს მადლიერებას მთის პრობლემების წინ წამოწევის გამო. ამ თემაზე გასულ წლებში არაერთხელ აღმინიშნავს ჩემს ქადაგებებსა და ეპისტოლეში, მაგრამ სამწუხაროდ, შედეგი არ მოჰყოლია. ვიმედოვნებ, ეს კონფერენცია, ქმედითი ღონისძიებების საწყის ეტაპად იქცევა. ყველას კარგად მოგესხენებათ, რომ პირველ რიგში, საკანონმდებლო ცვლილებებია განსახორციელებელი და სამუშაო ადგილები შესაქმენელი, რომ ხალხი დაინტერესდეს და მთისკენ იბრუნოს პირი. ვინ შეიძლება დასახლდეს აღნიშნულ რეგიონებში? პირველ რიგში, უნდა ვეცადოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დაბრუნდეს და თუ ამას ვერ მივაღწევთ, პირობები უნდა შეიქმნას, თუნდაც მათი ნახევარწლიანი მომთაბარე ცხოვრებისათვის. ანუ ნაწილობრივი დაბრუნებისათვის მიტოვებულ ადგილებში. კარგი იქნება, თუ დავასახლებთ (წინასწარი მომზადების შემდეგ) მშობლების მზრუნველობამოკლებულ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც 18 და მეტი წელი შეუსრულდა და რომელთაც აქამდე მოქმედი კანონმდებლობით, ფაქტიურად, ქუჩაში წასვლა უწევთ. შეიძლება ვიფიქროთ იმ ოჯახებზეც, რომლებმაც გაჭირვების გამო დაკარგეს სახლკარი და ღვთის ანაბარად დარჩნენ. ასევე სასურველია, მთის დაუსახლებელ ტერიტორიებზე მოეწყოს მიმაგრების ადგილები, რომ შედარებით მსუბუქი დანაშაულის მქონე ადამიანებმა მოიხადონ სასჯელი და თავისი შრომით წვლილი შეიტანონ მხარის აღორძინებაზე. რა თქმა უნდა, წინადადებები სხვაც ბევრი იქნება და ალბათ გაცილებით უკეთესიც, რაც ფრიად სასიხარულოა ჩვენთვის. მთავარია, რეალური ნაბიჯები გადაიდგას, რომ ქვეყანა დაცარელებული მთიდან გამომდინარე, უმძიმესი შედეგებიდან ვიხსნათ. ეკლესია მზად არის, შესაძლებლობისამებრ გვერდში დაუდგეს ამ საქმეს და თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს გადარჩენაში. ღმერთმა დაგლოცოთ ყველანი, ღმერთმა ააღორძინოს და გააძლიეროს საქართველოს მთა და ბარი, — აღნიშნავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

გოჩა ხარანაული

შეხვედრა შოთა ნიშნიანიძესთან

იყო მეოცის 81.
ვიყავ თვრამეტის
ვგლეჯდი ავშარებს.
წამოიმართე ბაჯაღლო მკერდით
და მივხვდი დღემდე
რად ვერ წაგვშალეს!!!
როგორც მთაკაცი,
როგორც ზღვა კაცი,
მმზერდი და სიტყვის
თქმა არ მადროვე,
„მთხოვე რაც გინდა!“
როგორც ზღაპრებში
სჩვევიათ ხოლმე
კეთილ ჯადოქრებს!!!
...წყვდიადს ვუყეფ
და ნათელს ვუგალობ,
ვკვდები და ჩემს თავს
ვსტირი თავადვე.
და მე მარტოსულს,
და მე უგვაროს,
მომეხვიე და გამათამამე!!!
წამოვედ ფიქრით,
მოყმეზე, ვეფხვზე,
სიცოცხლე მექცა
ძვირფას სამიზნედ,
მტრული სამყარო მეკიდა ფეხზე,
— მე შევხვდი შოთა ნიშნიანიძეს!
უზემოესით ხარ ცვარნამული,
შენ ხარს აღნიშნულს
ნიშნით ღვთიურით,
კითხვას გიბედავს ხარანაული,
„რას ნიშნავს ყოფა
ამქვეყნიური!!!!!!“

მაშასადამე

მე ვაკვირდები ადამიანებს,
მაშასადამე ღმერთს ვაკვირდები!
და ამ სიცოცხლეკელაპტრიანებს
სულში ეზრდებათ
რწმენის კვირტები!
ცხრა მთავრეხილი გადავიარე,
ცხრა ქარაშოტი
გულის დამზვრელი.
მე ვუბრაზდები ადამიანებს,
— ადამიანში მხეცს ვუბრაზდები!
თვალებს ვუჩოქებ ბადაგიანებს,
გაწვდენილი მაქვს
მზისკენ ხელები.
მე ვეფერები ადამიანებს,
მაშასადამე ღმერთს ვეფერები!!!

ლექსი

ვისთვის რა არის ლექსი არ ვიცი...
ვისთვის გართობა არის მახათით...
ვისთვის შვებაა, ვისთვის ხალისი...
(უფალიმც იყოს შემწე მაგათი!)
მეც, ან, საიდან უნდა ვიცოდე,
„ქვეს“ „ზე“ კვირტივით
რად აქვს მისკვნილი,
უნდა ვიცოდე მაშინ სიცოცხლე...
უნდა ვიცოდე მაშინ სიკვდილი...
დრონი მტანჯავენ შუაღმისანი,
იქნებ ოდესმე ნისლიც განიბნეს,
გულს რომ გაივლის
ლექსი ის არი,
და უამრავი ეკლით გაირბენს!!!!!!

ამერიკა

როგორ მივიღო ლენცოფა ვაზად,
ვით წავწვდე ლუკმას ცოდვილს
და არამს!
დანაპირები სად არის ვაჟავ,
რად არ მოადგნენ სამასნი არაგვს?!
ნეტავი შოთავ! არ იწვის ცა რად,
გამზრდელს გაზრდილი
რატომ არ ინდობს!
რატომ დაგირჩა მამული ცალად,
რად დაავიწყდათ „არაბს“
და „ინდოს“?!
სად არის ლადოვ,
რომ მოჰგავს ხვითოს,
ნატვრისთვლიანი რად
ვქექავ ნაგავს,
დაუფჩენია ლაშ-ხახა პითონს,
ჯერ არ გაგუდულს,
ჩემს მამულს ყლაპავს.
მიხავ! ძმის გულო,
ნუღარ მეძახი!
ვერ გავხვდი
შენი წყლულების მკვრელი,
წევს ამერიკა შლეგი მეძავი,
ჩემი ლამაზი სამშობლოს მკვლელი.

წუხელაც...

„ბუხრის ბიჭი ანგარიშობდა“
ანზორ აბულაძვილი

ერთი ქართველი ვაჟკაცი
დაბადებულა წუხელაც...
მთვარეს ჩაუსვამს კალთაში,
მზემ, თურმე ნანა უმღერა...
მოჯარებულან ჭახჭახით
ვარსკვლავნი, შუქურ-შუქურნი...
წყალმა წყალს ამცნო,
ქარმა-ხეს,
ღამეც განიმქრა უკუნი.
ნათლია! აბა, ნათლია! —
ჩქარა, ლამაზი სახელი!
მაგრამ, სახელში რა ყრია?
ვითომ რას მოგვცემს სახელი?
წამოდგა პაპა აბრია,
ჩამოიგარცხნა თმა-წვერი, –
განა ცოტანი გვინახავს
ხალხთან პირშერცხვენილები
დავითი... ვაჟა... ვახტანგი...
ტარიელ-ავთანდილები?
აბა, რა ძალუძთ სახელებს?
სახელებისგან რას ელით?
სახელს ვაჟკაცი ამშვენებს,
ლაჩარს ვერ შეცვლის სახელი!
თქვენ კაცად კაცი თქვით, თორემ
ეძახონ, თუნდაც.. სესია!
ოღონდაც ისე იცხოვროს,
როგორც
ვაჟკაცის წესია!

მზია ჩხეტიანი

ბოლო გვერდი

მილოცვა

ვულოცავთ დაბადების დღეს:

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორს“ –
ალეკო ასლანიშვილს
და მის მოადგილეს
სპარტაკ ქობულიას.

*

თვალსაჩინო მწერალს, ნოველისტს –
გულო კობიაშვილს;

*

აღმოსავლეთმცოდნეს, გამომცემელს –
გოჩა ღვინიაშვილს.

*

თვალსაჩინო პოეტს –
ირმა მებურიშვილს;

*

ფილოლოგს, მთარგმნელს და საზოგადო მოღვაწეს, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს –
ციური ქიტოშვილს;

*

უნიჭიერეს ფილოლოგს, სახელოვანი ოჯახის შვილს – **იზა ბარამიძეს.**

*

თბილისის 147-ე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ღვაწლმოსილ პედაგოგს –
ნანა ინწკირველს.

*

ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს –
ლეილა არჩემაშვილს.

*

სახელოვანი ვაჟკაცის, ხევსურეთში დაღუპული პოეტისა და ჟურნალისტის – **ზურაბ ჯაფარიძის** ვაჟიშვილს, სტუდენტს –
ზურაბ ჯაფარიძეს.

*

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულს და ულამაზეს ქალბატონს – **ხათუნა აზრუმელაშვილ-ჯაჭვაძეს.**

*

თელავის რაიონის სოფელ ფშავლის მკვიდრს – **ლუკა რამაზაშვილს.**

ვილოცავთ!

გაზეთ „კავკასიას“, მის სარედაქციო კოლეგიას, მთავარ რედაქტორს, ცნობილ ჟურნალისტს და მწერალს, ქალბატონ იზა ჯაჭვაძეს და გაზეთის მრავალრიცხოვან მკითხველს გილოცავთ შობა-ახალ წელს! გისურვებთ წარმატებებს, ბედნიერებას, სიხარულს, ახალ-ახალ გამარჯვებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!...

დაე, ეს წელი ყოფილიყოს საქართველოს გამთლიანების, გაძლიერების და აღმავლობის წელი!

დაე, ამ წელს თქვენთვის და თითოეული ქართველისათვის, საქართველოს ყველა გულშემატკივრისათვის მოეტანოს დიდი ბედნიერება, სიყვარული და სიხარული, ზვავი და ბარაქა!...

იხარეთ, მრავალჟამიერ!

ბაღათერ არაბული,
საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე,
ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი,
გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი



ღირსებისა და სიამაყის ამოკაუი

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი, გაზეთ „კავკასიის“ დამფუძნებელს, გამომცემელსა და მთავარ რედაქტორს, ნიკო ნიკოლაძის, გაბრიელ ჯაბუშანურის, ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიების ლაურეატს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, საპატიო ჩარგლელს და სხვა დიპლომების და ჯილდოების მფლობელს, ჩვენს ძვირფას კოლეგას – იზა ჯაჭვაძეს, და მის სარედაქციო კოლეგიას, ულოცავს დამდეგ ახალ – 2015 წელს და უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, შემოქმედებით წარმატებებს, საქართველოს მთიანეთისადმი სიყვარულსა და უსაზღვრო ერთგულებას, რომელიც ახასიათებდა და დღესაც ახასიათებს „კავკასიის“ რედაქციის ჟურნალისტებს.

ასევე დიდი სურვილი გვაქვს, რომ მათ კიდევ უფრო მეტი წვლილი შეიტანონ საქართველოს ღირსებისა და სიამაყის მთებში მცხოვრები ქართველი ხალხის კულტურის, ტრადიციების შენარჩუნების, მათი რთული და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში და დამაგრებაში.

ქართული მთის ბუნებისა და ტერიტორიების შენარჩუნება, არა მარტო საქართველოს აღორძინების წინაპირობაა, არამედ ცივილიზაციის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი მოთხოვნა.

ჰამლეტ გეგია,
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე

გაზეთ „კავკასიის“ მთავარ რედაქტორს იზა ჯაჭვაძეს!

იზა, ჩემო მეგობარო, ადამიანები, საახალწლოდ, სიკეთეს უსურვებენ ხოლმე ერთმანეთს და მეც, დამდეგი, 2015 წლის წინა დღეებში მინდა საშობლოს კეთილდღეობა, ჯანის სიმრთელე და „კავკასიის“ დდეგრძელობა გისურვო... ან, აბა, რა არის გასაკვირი იმაში, რომ ადამიანისთვის, ვისთანაც შენი ცხოვრების განუმეორებელი და ულამაზესი დღეები გაკავშირებს, ყველაფერი საუკეთესო გემეტებოდეს?!

წუხელ შენ გამახსენდი და ბარისახოს, შატილის, ყვარლის, ლენტეხის დღეები მახსენდებოდა, კიდევ ლამარის გორზე სამგზის „შადგომა“ და სული სითბითა გაძღესო და მაინც, ყველაზე მეტად შენი მშობლიური ფშაველი, უდედმამოდ დარჩენილი, მოწყენილი – ჩვენი სტუმრობით ახმიანებულ-გახარებული სახლი და იქ გატარებული სვდიანი საღამოები მათბობს...

ადამიანების სიყვარული და სითბო არ მოგკლებოდეს არასოდეს, ჩემო ქვეყნის ჭირისუფალო, ჩემო მეგობარო!

მარინე თექთუმანიძე

წარმატებით ევლოს „კავკასიას“

ჩემს საყვარელ გაზეთს, მის რედაქტორსა და სარედაქციო კოლეგიას ვულოცავ შობა-ახალ წელს!
ფეხბედნიერი ყოფილიყოს 2015 წელი თითოეული ჩვენთაგანისთვის!
წარმატებებით ევლოს გაზეთ „კავკასიას“, იგი ხომ იმიერ და ამიერკავკასიელთა უსაყვარელესი გამოცემაა, მათი იმედი, გულის დარდების გამზიარებელი, გულშემატკივარი და პრობლემების ქვეყნის მთავრობამდე მიმტანი.
მრავალჟამიერ, „კავკასია“!

ლეილა არჩემაშვილი

კავკასია

დამფუძნებელი, გამომცემელი
და მთავარი რედაქტორი
იზა ჯაჭვაძე

რედაქტორი
ლაშა-გიორგი
კრავეიშვილი

სარედაქციო კოლეგია: დიანა გიგიაძე, ივანე წიკლაური, ჯუმბერ გოგრიჭიანი, რეზო კობიაშვილი, გიორგი იჩუაიძე, ნუგზარ იდოიძე, ლევან ცალუღელაშვილი, მარინე თექთუმანიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩემაშვილი, გულო კობიაშვილი, გოჩა ხარანაული, მზია ხეთაგური, ომარ მარუქაშვილი.

გაზეთი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალებში შეტანილი ფაქტების სისწორეზე, ავტორთა მოსაზრებები შესაძლოა არ ეთანხმებოდეს რედაქციის პოზიციას. გაზეთიდან მასალის გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია

მისამართი:
კოსტავას ქ.№14
ტელ: 2-52-16-38
599-79-76-13

დაკბადონდა
კობა ბედოიძის
დიზაინცენტრში
www.bedoidze.site.ge